ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №685182

ნომერი: AR1126524

თარიღი : 22.04.2013

გაცემის თარიღი : 13.05.2013

გაცნობის თარიღი : 17.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 147 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , ნაკვეთი 03/094 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თათულაშვილი პ/ნ 01024004177
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 13ა ბ. 34

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს საგა იმპექსი კოდი: 205185235

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე გიორგი თათულაშვილმა 2013 წლის 22 აპრილს #AR1126524 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწვეტილებით ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.02.003.035; ფართობი: 2665.00 კვ.მ.), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში სავაჭრო–საგამოფენო პავილიონისა და დამხმარე ფუნქციით (სასაწყობე და საოფისე) ობიექტის განთავსების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ქ. თბილისის მერის 2012 წლის 05 მარტის #867 განკარგულებით აღნიშნულ საპროექტო ობიექტზე გამოცემული იქნა სპეციალური ზონალური შეთანხმება, რომლითაც საპროექტო მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა: კ1=0.2.

სამსახურის 2012 წლის 16 ივლისის #264839 ბრძანებით ზემოაღნიშნულ პირობებში შეტანილი იქნა ცვლილება, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდა 3104.00 კვ.მ., საკადასტრო კოდი: #01.13.02.003.095 და მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა – კ1=0.5 (ქ. თბილისის მერის 2012 წლის 04 ივლისის #1771 განკარგულება).

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ახალი საჯარო რეესტრის ამონაწერისა (რეგისტრაციის #882013085184, მომზადების თარიღი: 05.03.13) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882013085184, მომზადების თარიღი: 04.03.13) თანახმად ირკვევა, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან მიერთების შედეგად შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 3889.00 კვ.მ.-ს, ახალი საკადასტრო კოდი #01.13.02.003.106. მიერთებულ მიწის ნაკვეთზე ასევე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2), რომელზედაც ქ. თბილისის მერის 2013 წლის 29 აპრილის #828 განკარგულებით გაცემული იქნა სპეციალური ზონალური შეთანხმება და საპროექტო მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა: კ1=0.5.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 3889.00 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.13.02.003.106; ასევე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0.5.

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსხურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882013085184, მომზადების თარიღი: 05.03.13) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882013085184, მომზადების თარიღი: 04.03.13, საკადასტრო კოდი: #01.13.02.003.106);

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 მარტის #102504 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან, ასევე სამსახურის 2012 წლის 16 ივლისის #264839 ბრძანებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.